



## ევაჰროპით, რომელსაც საშურის მოსახლეობა წლავი ელფდა საფრანგეთის განვითარების სააგენტო და ევროკავშირი საშურის წყლის სისტემების მოდერნიზაციისათვის 65 მილიონ ევროს გამოყოფენ

საფრანგეთის განვითარების სააგენტომ და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ხელი მოაწერეს 58 მილიონი ევროს ოდენობის სესხის ხელშეკრულებას საშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების აღდგენის სამუშაოების დასაფინანსებლად. აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად ევროკავშირმა დამატებით 7,15 მილიონი ევროს ოდენობის გრანტი გამოყო.

2020 წლის 31 ივლისს საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, ივანე მაჭავარიანმა, საფრანგეთის ელჩმა საქართველოში, დიეგო კოლასმა, და საფრანგეთის განვითარების სააგენტოს სამხრეთ კავკასიის რეგიონული სააგენტოს დირექტორმა, გაელ ასაიაგმა, ხელი მოაწერეს 58 მილიონი ევროს ოდენობის სესხის ხელშეკრულებას „საშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების განვითარების“ პროექტისთვის, რომლის მიზანია ქალაქ საშურში წყალმომარაგებისა და წყალარინების თანამედროვე სისტემების შექმნა. ხელმოწერის ცერემონიას დაესწრო საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ჯგუფის ხელმძღვანელი, დომენიკ პაპენჰეიმი.

პროექტის მიზანს ქალაქ საშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მოდერნიზაცია წარმოადგენს. ამჟამად საშურის მუნიციპალიტეტს წყალი დღეში მხოლოდ რამდენიმე საათის განმავლობაში მიეწოდება, ხოლო ნარჩენი წყლები ტრანსსასაზღვრო მდინარეში გაუწმენდავი სახით ჩაედინება, რაც უარყოფით ზემოქმედებას ახდენს გარემოზე, ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობასა და ჯანმრთელობაზე.

პროექტს განახორციელებს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია (UWSCG), წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის სახელმწიფო ოპერატორი კომპანია. პროექტი ასევე მიზნად ისახავს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის (UWSCG) შესაძლებლობების გაძლიერებას, წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურაში უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული ინვესტიციების მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

„ამ პროექტით საფრანგეთი, საფრანგეთის განვითარების სააგენტოს მეშვეობით და ევროკავშირთან ერთად, „ევროპის გუნდის“ სახელით საქართველოს დაეხმარება ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციასა და ევროკავშირის გარემოსდაცვითი სტანდარტების დანერგვაში. ვიმედოვნებ, რომ საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა და საქართველოს შორის წყლის სექტორში თანამშრომლობის ეს პირველი მაგალითი დასაბამს დაუდებს ახალ პროექტებს ამ სფეროში, ყველასათვის უფრო მწვენივან და უკეთესი სამყაროს უზრუნველსაყოფად,“ - აღნიშნა საფრანგეთის ელჩმა საქართველოში, დიეგო კოლასმა.

„საშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების განვითარების პროექტი მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქალაქის მოსახლეობისა და მიმდებარე დასახლებების საყოფაცხოვრებო პირობებს. პროექტის განხორციელების შედეგად 40000-ზე მეტი ადამიანი უზრუნველყოფილი იქნება უწყვეტი წყალმომარაგებისა და წყალარინების მომსახურებით. პროექტი ასევე ხელს შეუწყობს მდინარე მტკვრის წყლის ხარისხის გაუმჯობესებას. ჩვენ მოხარული ვართ იმით, რომ პროექტს მხარს უჭერს ევროკავშირი, რომლის წვლილიც მნიშვნელოვანია პროექტის მდგრადობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით,“ - განაცხადა საფრანგეთის განვითარების სააგენტოს სამხრეთ კავკასიის რეგიონული სააგენტოს დირექტორმა, გაელ ასაიაგმა.

„ევროკავშირი საქართველოს ადამიანების ცხოვრების დონის გაუმჯობესებასა და გარემოს დაცვაში ეხმარება. ჩვენ მოხარული ვართ, რომ საფრანგეთის განვითარების სააგენტოსთან ერთად ვიწყებთ ახალ პროექტს საქართველოს წყლის სექტორში. ამ პროექტის მიზანია, გააუმჯობესოს საშურში მცხოვრები იმ ძალიან ბევრი ადამიანის ყოველდღიური ყოფა, რომლებსაც არ აქვს წვდომა სუფთა წყალზე და წყალარინების მომსახურებაზე. პროექტი ასევე უზრუნველყოფს ნარჩენი წყლების გაწმენდას, რაც მიმდებარე მდინარეებსა და ნიადაგს დაბინძურე-

ბისგან დაიცავს. აქედან გამომდინარე, პროექტი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ადამიანების ჯანმრთელობის, გარემოსა და ბიომრავალფეროვნების დაცვაში,“ - აღნიშნა საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ჯგუფის ხელმძღვანელმა, დომენიკ პაპენჰეიმი.

### საზრუნველობის განვითარების სააგენტო (AFD)

საფრანგეთის განვითარების სააგენტო არის მრავალმხრივი სახელმწიფო ფინანსური ინსტიტუტი და საფრანგეთის განვითარების პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი. საფრანგეთის განვითარების სააგენტო (AFD) აფინანსებს სხვადასხვა დარგებს - სოფლის მეურნეობას, ენერჯეტიკას, ჯანმრთელობის დაცვას, ბიომრავალფეროვნებას, წყალს, ტრანსპორტსა და ურბანულ განვითარებას.



ნულ განვითარებას, ციფრულ ტექნოლოგიებს, ტრენინგებს - და მხარს უჭერს უფრო უსაფრთხო, უფრო სამართლიანი და უფრო მდგრადი სამყაროს შექმნას. 85 სააგენტოსგან შემდგარი ქსელის საშუალებით, საფრანგეთის განვითარების სააგენტო (AFD) 115 ქვეყანაში მუშაობს. 2019 წელს სააგენტომ პროექტების დასაფინანსებლად 14 მილიარდ ევროზე მეტი გამოყო.

2016 წელს თბილისში რეგიონული ოფისის გახსნის შემდეგ, საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (AFD) და საქართველოს შორის წარმატებული თანამშრომლობა დამყარდა, რამაც განაპირობა 480 მილიონი ევროს ვალდებულებების აქტიური პორტფელის შექმნა სოფლის მეურნეობის, წყლის, სოციალური დაცვისა და ურბანული მობილობის სექტორებში.

### ეპროკავშირი

ევროკავშირი საქართველოს უმსხვილესი დონორია, რომელიც საქართველოში მიმდინარე რეფორმების მხარდასაჭერად ყოველწლიურად 350 მილიონ ლარზე მეტს გამოყოფს. ევროკავშირი საქართველოს ეხმარება ეკონომიკის განვითარებაში, განათლების, მმართველობის, ადამიანის უფლებების და გარემოს დაცვის სფეროებში. აღნიშნული დახმარება სხვადასხვა ფორმით ხდება, კერძოდ, საქართველოს მთავრობის პირდაპირი ფინანსური მხარდაჭერით, ტექნიკური დახმარების პროექტებით, სამოქალაქო საზოგადოებისათვის განკუთვნილი გრანტებით და ევროკავშირის პროგრამებზე, როგორცაა რასმუს+, Horizon 2020 და Creative Europe, წვდომის უზრუნველყოფით. ევროკავშირი საქართველოში მრავალ ინფრასტრუქტურულ პროექტს აფინანსებს ისეთ სფეროებში, როგორცაა წყალმომარაგება და წყალარინება, ნარჩენების მართვის ობიექტების მშენებლობა, გზების რეაბილიტაცია, საზოგადოებრივი შენობების ენერგოეფექტურობა.

(რედაქციისაგან: უფრო დაწვრილებით ინფორმაციას ზემოაღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, ჩვენს მკითხველს გაზეთის მომავალ ნომერში მივაწვდით).



ჩვენი მკითხველისათვის ცნობილია, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, გასულ წელს, გამოაცხადა კონკურსი დაბა სურამის გენერალური გეგმის კონცეფციის შემუშავებაზე, რომელშიც გაიმარჯვა შპს „ურბანიკამ“. თითქმის რვათვიანი ნაყოფიერი სამუშაოების შემდეგ, 31 ივნისს, „ურბანიკამ“ აღნიშნული კონცეფცია სურამის მოსახლეობას გააცნო. დღეს ვიწყებთ ამ კონცეფციის საგაზეთო ვარიანტის ბეჭდვას. ვფიქრობთ, იგი საინტერესო იქნება მკითხველთა ფართო მასისთვის.

### დაბა სურამის გენერალური გეგმის კონცეფცია

#### შესავალი

დაბა სურამის გენერალური გეგმის კონცეფცია წარმოადგენს საკვლევი არეალის ფარგლებში მრავალფაქტორული ანალიზის და კვლევის შედეგად ჩამოყალიბებულ სტრატეგიული მიზნების და ამოცანების განხორციელების დეტალურ აღწერას და მიდგომებს, რომელიც საფუძვლად დაედება შემდგომი ეტაპის (დაბა სურამის გენერალური გეგმა) დოკუმენტს.

დაბა სურამის გენერალური გეგმის კონცეფცია ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს, სადაც გათვალისწინებულია ყველა დაინტერესებული მხარის მოსახრება.

კონცეფცია განიხილავს, როგორც დაბა სურამის განვითარების სტრატეგიას, ასევე მის როლს მთლიანად საქართველოს და აღმოსავლეთ საქართველოს აგლომერაციულ ჭრილში.

#### პროექტის შესახებ

დაპროექტების საფუძველია 2019 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული კომპანიის შპს „ურბანიკას“ და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2/19 (26/11/2019) დაბა სურამის გენერალური გეგმის და ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის შემუშავების შესახებ.

#### გეგმარებითი ერთეული

##### დემოგრაფია

2002 წლის აღწერის მონაცემებით, სურამში ცხოვრობს 9773 ადამიანი. 2014 წელს კი ფიქსირდება კლება, დაბაში ცხოვრობს 7492 ადამიანი, საიდანაც 3609 მამაკაცია, ხოლო 3883 ქალი

ეროვნული შემადგენლობა

- ქართველები 98.5%
- სომხები 0.6%
- რუსები 0.3%



საქსტატის ინფორმაციით, დაბა სურამის დასახლებაში, 2015 წელს, 8033 ადამიანი ცხოვრობდა შემდეგ კი კლება იყო. 2019 წლის მონაცემებით კი 7696 ადამიანი აღწერილი. არსებული მდგომარეობით (საქსტატი 2019) სურამში ფიქსირდება 7696 რეგისტრირებული მოსახლე, თუმცა რეალური მდგომარეობით სურამის მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირებულია. სამწუხაროდ რეალური რიცხვის დადგენა შეუძლებელია, ვინაიდან არ ხდება მუდმივი აღრიცხვა, ხოლო არასტანდარტული მეთოდების (მაგალითად მობილური ოპერატორების მონაცემები უნიკალური აბონენტების მიხედვით) გამოყენება შეუძლებელია, ვინაიდან სურამს კვეთს ტრანზიტული საავტომობილო გზა, ხოლო სატელეფონო ანძები ემსახურება როგორც სურამს, ისე ხაშურის დასავლეთ საცხოვრებელ უბნებს.

დაბა სურამის მოსახლეობის არსებული რაოდენობის დასადგენად რამდენიმე მონაცემი იქნა გამოყენებული:

იმის გათვალისწინებით, რომ 80-იანი წლების შემდგომ სურამში ფაქტობრივად არ ხდება საბინაო ფონდის ზრდა, ხოლო მაქსიმალური რიცხოვნობა, დაახლოებით, 10000 მოსახლეს შეადგენდა, საბაზისო რიცხვად არსებული რესურსისთვის აღებულია სწორედ 10000 ადამიანი.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში, აღრიცხული შენობებიდან საცხოვრებელი ფუნქციის მატარებელი დაახლოებით 3000 ერთეული. ზოგადი სტატისტიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ და ოჯახში 3,5-4 წევრს ვიანგარიშებთ, დადგინდება, რომ სურამში არსებული საცხოვრებელი სახლები საკმარისია 10000-12000 ადამიანის დასახინაველად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე და იმ პრინციპების გათვალისწინებით, რომ ინტენსიური განვითარების შემთხვევაში არ შეიცვალოს არსებული განაშენიანების სტრუქტურა, არსებული განაშენიანების ფარგლებში, მოსახლეობის რაოდენობად პროექტი ითვალისწინებს 11 000 მაცხოვრებელს.

სურამის გენერალური გეგმით (კონცეფცია) დაგეგმილია სურამის პერიფერიულ ზონებში 3 ახალი საცხოვრებელი უბნის შექმნა. როგორც სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი განსაზღვრავს, უშენი ტერიტორიებისთვის სიმჭიდროვის მაჩვენებლებს მოცემული სამი უბნის განვითარების შემთხვევაში პექტარზე 90 ადამიანი იქნება. ასეთ პირობებში, სარეზერვო ახალი უბნების სრულად განვითარების შემდგომ სურამის მოსახლეობას შეემატება, დაახლოებით, 2400 მაცხოვრებელი.

შედეგად, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ სურამის მაცხოვრებლების საერთო საპროგნოზო რაოდენობაა 13000-14000 მოსახლე.

გარდა მუდმივ მაცხოვრებლებისა, მნიშვნელოვანია დაბა სურამის სტუმრების

რაოდენობა. გამომდინარე იქედან, რომ არსებული მდგომარეობით არ მიმდინარეობს სტუმართა რაოდენობის მონიტორინგი, ხოლო საგადასახადო სისტემა ვერ ასახავს რეალობას (არ აღირიცხება საოჯახო სასტუმროები) შეუძლებელია მათი ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა.



პერსპექტივაში აგრეთვე ძნელი იქნება საოჯახო სასტუმროებში ჩამოსული სტუმრების პროგნოზირება, თუმცა, შესაძლებელია განვსაზღვროთ საკურორტო-რეკრეაციულ ზონებში ახალმშენებლობების მასშტაბი და შესაბამისად აქ დამსვენებლების რაოდენობაც.

საკურორტო ტერიტორიების საერთო ფართობი (არსებული და საპროექტო ერთად) შეადგენს დაახლოებით 500 000 კვ.მ-ს.

ამ ზონებში სატრანსპორტო ტერიტორიებისთვის თუ გათვალისწინებთ დაახლოებით 10%-ს საანგარიშო ფართობად შესაძლოა მივიჩნიოთ 450 000 კვ.მ.

არსებული კანონმდებლობით მოცემულ ზონაში კი განისაზღვრება 0.2-ით, ანუ ჯამში მოშენების ფართობი შეადგენს 90 000 კვ.მ-ს.

კანონმდებლობით, მოცემულ ზონაში მაქსიმალური სიმაღლეა 15 მეტრი, თუმცა გენგეგმით დაგეგმილია სიმაღლესთან ერთად 4 სართულიანი შეზღუდვის დაწესებაც, შესაბამისად კ2-ის მაქსიმალურ მაჩვენებლად შესაძლოა 0.8 ჩაითვალოს. ასეთ შემთხვევაში, ჯამური ფართობი დასასვენებელი ფუნქციის ობიექტებისთვის სავარაუდოა დაახლოებით 360 000 კვ.მ.

თუ ერთ სტუმარზე ვიანგარიშებთ 35 კვ.მ. ფართობს სასტუმრო კომპლექსიდან (ანალოგებზე დაყრდნობით), გამოვა, რომ ჯამში, სურამის სტუმრების მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს, დაახლოებით, 10 000-11 000-ს, რაც თითქმის უტოლდება ადგილობრივი მოსახლეობის პერსპექტიულ რაოდენობას.

გენგეგმისთვის ჯამურ საერთო პიკურ მაჩვენებლად შემდგომი ანგარიშებისთვის განისაზღვრა 25 000 ერთეული და ყველა შემდგომი ანგარიში ამ მონაცემებს დაექვემდებარება.

#### ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირება

დაბა სურამის საზღვარი წინამდებარე პროექტით დადგენილია ფიზიკური და დოკუმენტალური კვლევის საფუძველზე. ახალი საზღვარი, უმეტესწილად, მიჰყვება სურამის თემისა და საჯარო რეესტრის მონაცემებით დადგენილ კვარტლების საზღვარს. ცალკეულ შემთხვევებში საზღვარი დაზუსტებულია ფიზიკური გარემოსა და სატყეო უბნების რეგისტრირებული საზღვრების შესაბამისად.

გარდა დაბა სურამის საზღვრისა, გამოვლენილია დაბის ცენტრის. შუალედური და პერიფერიული ზონის საზღვრები. ცენტრალური ზონის ფართობი შეადგენს 404 645 კვ.მ-ს და მოიცავს ტერიტორიებს საპროექტო ბულვარს, მაჩაბლის ქუჩას, თბილისის, სენაკის მაგისტრალს, სურამულას შორის. ამავე ზონაში შემოდის ფსიქიატრიული საავადმყოფო და მისი მიმდებარე ტერიტორიები.

შუალედური ზონა (6 618 676 კვ.მ) მოიცავს განაშენიანებულ და გენგეგმით დაგეგმილ განსაშენიანებელ ტერიტორიებს. პერიფერიული ზონა (8 240 382 კვ.მ) ძირითადად სატყეო და სასოფლო-სამეურნეო ზონებს მოიცავს.

ჯამურად, ახალ საზღვარში, დაბა სურამის ფართობი შეადგენს 15 263 703 კვ.მ-ს.

#### ცენტრალური უბნის გამოვლენა

##### 2. ცენტრალური უბანი

წინასაპროექტო კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით, შეფასდა სურამის განაშენიანების ხარისხი და სტრუქტურა. გამოვლინდა საზოგადოებრივად აქტიური არეალი, ამავე დროს, გამოვლინდა სურამის ისტორიული ღირებულების მქონე არეალი. შეფასდა, გენგეგმის ფარგლებში, საზოგადოებრივი აქტივობებისათვის გამოსადეგი ტერიტორია. ყოველივე ზემოთ თქმულისა და გეორაფიული მდებარეობის საფუძველზე გამოვლინდა სურამის ტერიტორიულ-სტრუქტურული ცენტრალური უბანი.

საპროექტო ცენტრის ტერიტორია მოიცავს სურამის ციხესა და მის მიმდებარე განაშენიანებას, საპროექტო ტურისტულ პაბს, საპროექტო საფეხმავლო ზონას მაჩაბლის ქუჩამდე, საპროექტო ბულვარს რკინიგზის ტერიტორიაზე, ყოფილ რკინიგზის სადგურს, განაშენიანებას რუსთაველის ქუჩის გასწვრივ ვიდრე მდინარე სურამულამდე, პირველ საჯარო სკოლას, ფსიქიატრიულ საავადმყოფოს და მის მიმდებარე განაშენიანებას.

ასეთი კონფიგურაციით საპროექტო ცენტრი მოიცავს ფაქტობრივად არსებულ აქტიურ ზონებსა და საპროექტო გადაწყვეტებით დაგეგმილ მიზიდვის ცენტრებს.

ცენტრალური ზონა დაახლოებით 40 ჰა-ა და გამოირჩევა მრავალფეროვანი ლანდშაფტით: აქ გვხვდება მდინარე, პლატო, პარკი, გაუნაშენიანებელი ტერიტორია, რკინიგზის ტერასა, ციხის ბორცვი და ა.შ.

##### 3. არსებული მიზიდვის ცენტრები

1. სასტუმროები; 2. საოჯახო სასტუმროების უბანი; 3. ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმი; 4. სარაბო/საფეხბურთო მოედანი; 5. სურამის ტყე;

6. კომერციული ცენტრი; 7. სოციალური ცენტრი; 8. სპორტული მოედნები და ეკლესია; 9. სურამის ციხე; 10. ნაზუქების რეალიზაცია.

არსებული მდგომარეობით სურამი არ გამოირჩევა მიზიდვის ცენტრების არც სიმრავლითა და არც მათი სიმძლავრით. რეალურად, დაბის კომერციული ცენტრი რუსთაველის ქუჩისა და მდ. სურამულას კვეთაზეა, სადაც თავმოყრილია რამოდენიმე მაღაზია და ერთი კვების ობიექტი. აქვეა ორი სასტუმრო (ბათუმი და კა-ემ-ჯი), თუმცა საბოლოოდ ასეთი კომპლექსი ვერ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას გარემოზე. ცენტრის ფუნქცია აღმოსავლეთის, ხაშურის მიმართულებითაც გრძელდება, რაც გამოხატულია „რკინის წყლის“, როგორც შეხვედრების ადგილისა და პარკის სახით სადაც, ფუნქციონირებს მცირე ზომის ბიბლიოთეკა. პარკი, თავისი ზომებიდან



გამომდინარე აშკარად ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, რაც განსაკუთრებულად თვალსაჩინოა ზაფხულის პერიოდში. მისი ზომებია საშუალოდ 75\*35 მეტრზე, ანუ დაახლოებით 2600 კვ.მ. საიდანაც დიდ ნაწილს ამ პარკში განთავსებული ბიბლიოთეკა და უმოქმედო კინოთეატრი იკავებს.

ყველაზე აქტიური ზონა თბილისის სენაკის მაგისტრალზე განთავსებული სავაჭრო ჯიხურების ტერიტორიაა, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა ძირითადად ნაზუქების რეალიზაციითაა დაკავებული.

ზაფხულის პერიოდში აქტიურდება სურამის ტყის ჩრდილოეთ მონაკვეთი, სადაც დამსვენებლები ატარებენ ძირითად დროს. ზაფხულის პერიოდსვე უკავშირდება ზინდისის უბანში აქტიურობის ზრდა, რაც დაკავშირებული აქ ბევრი საოჯახო სასტუმროს არსებობით. იგივე მდგომარეობაა ბაიანთხევის სამხრეთის ფერდზე რომელიც უშუალოდ ემიჯნება სურამის ტყეს.

ეპიზოდური აქტივობა შეინიშნება ლესია უკრაინკას სახლმუზეუმთან, სადაც ე.წ. "ლესია-უკრაინკობაზე" უკრაინელი სტუმრები ჩამოდიან. აღსანიშნავია რომ ბოლო წლებში, მუზეუმის არასათანადო მდგომარეობის გამო, ეს აქტივობა თითქმის მოშლილია.

უკანასკნელ წლებში სურამის ტყის ჩრდილო დასავლეთით წარმოიშვა აქტივობის ახალი კერა, რასაც ხელი შეუწყო სასტუმრო სურამის ფუნქციონირებამ და მიმდებარე ტერიტორიების განვითარებამ.

სამწუხაროდ, მინიმალურია სურამის ციხის გავლენა აქტიურობაზე, რაც განპირობებულია ციხის გარშემო მოწყვლადი ინფრასტრუქტურითა და ატრაქციების ნაკლებობით.

მთლიანობაში, არსებული მდგომარეობით, სურამი განიცდის მიზიდვის ცენტრების და ტურისტული ატრაქციების მკვეთრ დეფიციტს.

**არსებული მიზიდვის ცენტრების გაძლიერება**

1. ტყის მიმდებარე ტერიტორიების სასტუმროებით განვითარება;
2. საოჯახო სასტუმროების უბნის გამსხვილება;
3. ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმის აქტიური ჩართვა ტურიზმში;
4. სარაგბო/საფეხბურთო მოედნის ჩართვა ერთიან სარეკრეაციო სისტემაში;
5. სურამის ტყის აქტიური ზონის გაფართოება;
6. კომერციული ობიექტების დეცენტრალიზაცია;
7. სოციალური ცენტრის გაძლიერება (რეაბილიტაცია და კინოთეატრის აღდგენა);
8. სპორტული მოედნებისა და ეკლესიის დაკავშირება ბულვართან;
9. სურამის ციხის ჩართვა ერთიან ტურისტულ სტრუქტურაში;
10. ნაზუქების რეალიზაციის ადგილმონაცვლეობა ავტობანის მიმართულებით.

საპროექტო გადაწყვეტის ერთ-ერთი მთავარი ელემენტია არსებული მიზიდვის ცენტრების გაძლიერება, რაც ძირითადად მათი ხარისხობრივი ზრდის ხარჯზეა დაგეგმილი. ხარისხის ამაღლების მთავარი ფაქტორია სასტუმროების რაოდენობისა და ხარისხის ამაღლება, რისთვისაც, მეტი ყვავის მისაღწევად, გენგეგმით დაგეგმილია უკვე აქტიური სასტუმრო ზონების განვითარება. ამისთვის ტყისპირა ზონებში გამოყოფილია სტანდარტული ტიპის სასტუმროებისთვის (1) საკურორტო ზონების შექმნა, ხოლო კოტეჯური ტიპის განაშენიანებისთვის არსებული გაუნაშენებელი მიწის ნაკვეთების განვითარება საკურორტო-რეკრეაციული ფუნქციით (1). ხარისხის აწვევის მიზნითვე ფუნქციური ზონირებით ხდება ტყის მასივის დაცვა დეგრადაციისგან და მისი აქტიური ნაწილის გაფართოება (5). მიზიდვის ისეთი ცენტრისთვის, როგორც ლესია უკრაინკას მუზეუმი (3), მნიშვნელოვანია მისი რეაბილიტაცია/პოპულარიზაცია და მისსახელმძღვანელობა რომ ეს პროცესი დაწყებულია, თუმცა გაურკვეველი მიზეზებით არც თუ ისე თვალსაჩინოა შედეგები.

ლოკალური მნიშვნელობა აქვს თუმცა მნიშვნელოვანია ცენტრსა და სურამის ტყეს შორის არსებული სპორტული მოედნის (4) რეაბილიტაცია და მაქსიმალური დატვირთვა, რაც ხელს უწყობს ეპიზოდურ, თუმცა ყოველდღიური აქტივობის შექმნას ცენტრალურ ზონაში ტურისტული ნაკადებისა. შესაბამისად, მოსახლეობის ზრდის პირობებში, აუცილებელი გახდება კომერციული ცენტრების სწორი გადანიშნულება, რისთვისაც აუცილებელია გენგეგმითვე გამოიყოს ქვეცენტრების ტერიტორიები პერიფერიებზე (6). უკანასკნელი წლების განმავლობაში, ყოფილი რკინიგზის ტერიტორიის მიმდებარედ, სადგურსა და სამების ეკლესიას შორის მოწყობილია საპორტული და საბავშვო გასართობი სივრცეები (8), რაც ამ ადგილის გააქტიურებას იწვევს. ასეთი რეკრეაციული ზონის გაძლიერება შესაძლებელია მისი გაფართოებით (რკინიგზის ან/და ბილბარის ხარჯზე) და მისი ჩართვით ერთიან საფეხმავლო/ტურისტულ მარშრუტში.

სურამის ციხის (9) როლის გააქტიურება უმნიშვნელოვანესია დაბის განვითარებისთვის, რისთვისაც აუცილებელია მისი რეაბილიტაცია. დადებითი მომენტი რომ ეს პროცესი დაწყებულია და სამუშაოები უახლოეს პერიოდში განახლდება.

სურამისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია შეინარჩუნოს ის კომერციული ნიშა, რომელიც ტრანზიტზე მოძრავ კლიენტებზეა გათვლილი. ამ მიზნით, დაგეგმილია, ავტობანის მშენებლობის დასრულებასთან ერთად, ახალ მაგისტრალზე მოწყობის ნაზუქების რეალიზაციის არეალები ორივე მიმართულებით. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე რთულია დაზუსტებული ადგილმდებარეობის მითითება.

**არსებული და საპროექტო მიზიდვის ცენტრები**

1. ტყის მიმდებარე ტერიტორიების სასტუმროებით განვითარება;
2. საოჯახო სასტუმროების უბნის გამსხვილება;
3. ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმის აქტიური ჩართვა ტურიზმში;
4. სარაგბო/საფეხბურთო მოედნის ჩართვა ერთიან სარეკრეაციო სისტემაში;
5. სურამის ტყის აქტიური ზონის გაფართოება;
6. კომერციული ობიექტების დეცენტრალიზაცია;
7. სოციალური ცენტრის გაძლიერება (რეაბილიტაცია და კინოთეატრის აღდგენა);
8. სპორტული მოედნებისა და ეკლესიის დაკავშირება ბულვართან;
9. სურამის ციხის ჩართვა ერთიან ტურისტულ სტრუქტურაში;
10. ნაზუქების რეალიზაციის ასეილმონაცვლეობა ავტობანის მიმართულებით;
11. ფსიქიატრიული საავადმყოფოს ტერიტორიაზე ცენტრალური პარკი;
12. ბულვარის რკინიგზის ტერიტორიაზე;
13. საფეხმავლო ქუჩა/ზონა ციხესა და ბულვარს შორის;
14. საფეხმავლო ზონა სურამის ციხის გარშემო;
15. ტურისტული პარკი;
16. სურამის ტბის რეკრეაციული/ტურისტული ზონა;
17. სასტუმრო კომპლექსი ტბის მიმდებარედ;
18. ყოფ. შუშის ქარხნის განვითარება საზოგადოებრივი ფუნქციით;
19. სპორტული ცენტრი ბულვარის მიმდებარედ;
20. ჩუმათელეთის პარკი ყოფ. ბანაკის ტერიტორიაზე;
21. სასტუმროების კომპლექსი სურამის ტყის მიმდებარედ;
22. თერმული წყლების კომპლექსები;
23. ახალი საბავშვო ბაგა/ბაღები;
24. სასტუმრო/სანატორიუმების ქსელი;
25. ახალი სკოლები;
26. აგროტურიზმის ცენტრები;
27. გადმოსახედეების სისტემა;
28. მცირე ზომის ორგანიზებული რეკრეაციული სივრცეები;
29. ახალი საცხოვრებელი უბანი;
30. მდინარის გასწვრივ სარეკრეაციო სივრცეების მოწყობა.

სურამის ტურისტული პოტენციალის ეფექტურად გამოსაყენებლად აუცილებელია სისტემური, ორგანიზებული რეკრეაციული სივრცეების შექმნა. ამისთვის წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული მწვანე ღეროვნების, საფეხმავლო ზონებისა და პარკების სისტემის შექმნა. ასეთი სისტემის მთავარ ღერს წარმოადგენს ბულვარის რკინიგზის ტერიტორიაზე, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ვართობისა და დასვენების შემდეგ ობიექტებს:

ახალი ცენტრალური პარკი საავადმყოფოს ადგილზე, კომერციული ცენტრი, სპორტული მოედანი, ტყეში ასახველები, არსებული სკერვი სპორტული და გასართობი ობიექტებით, სამების ეკლესია, ახალი კომერციული ცენტრი გვერდისუბანში, სპორტული კომპლექსი ე.წ. "სტეკლიანის" უბანში, ქარხნის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ობიექტი, მინის ტარის დასახლება, რეკრეაციული ზონა სურამის ტბის გარშემო, თერმული აბანოები. აღსანიშნავია, რომ სამების ეკლესიის მიმდებარედ ზემოთხსენებულ ბულვარს კვეთს მსხვილი საფეხმავლო კავშირი ციხესა და სურამის ტყეს შორის, რომელიც აერთიანებს შემდეგ ობიექტებს:

კაკალათხევი, წმინდა გიორგის ეკლესია, სინაგოგა, სურამის ციხე, საფეხმავლო ქუჩა ციხის გარშემო, ტურისტული პარკი, სურამულა, საფეხმავლო ღერძი არხზე ან/და საფეხმავლო ზონა მანაბლის ქუჩაზე, სამების ეკლესია, ბულვარი, 26 მაისის ქუჩა, საფეხმავლო კავშირი ტყესთან. სურამის ტყე.

გამომდინარე იქედან რომ საკურორტო თვალსაზრისით საუკეთესო პირობები ზინდის-იტრია-ჩუმათელეთის მიმართულებითაა ჩამოყალიბებული, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების უმრავლესობაც სწორედ ამ უბნებშია, როგორც არსებული მდგომარეობით, ისე გენგეგმის ხეობით ნაწილშიც. ამ მიმართულებით გენგეგმა ითვალისწინებს სურამისთვის ყველაზე დიდი რეკრეაციული ზონის, ჩუმათელეთის პარკის შექმნას ე.წ. "ბანაკის" ტერიტორიაზე. ასეთი პარკი მოემსახურება როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ისე მის გარშემო არსებულ, სარეაბილიტაციო და გენგეგმით გათვალისწინებულ საკურორტო-ტურისტულ ობიექტებს, მაგ: ყოფილი სანატორიუმები „ფოლადი“, „ნაკადული“, „მშენებელი“, „სურამი.“ ყოფილ პიონერთა ბანაკებზე განსაზღვრებულ სასტუმრო კომპლექსებს, საოჯახო სასტუმროებს ჩუმათელეთში და ახალი უბანი ჩუმათელეთში სურამულას მარჯვენა სანაპიროზე. მნიშვნელოვანია რომ ჩუმათელეთის პარკშივე დაგეგმილია თერმული წყლების კომპლექსის მოწყობა აქვე არსებულ წყაროზე.

დაგეგმარების მთავარ პრინციპად განსაზღვრულია ისეთი ტერიტორიების განვითარება დასასვენებელი ობიექტების ფუნქციით, რომელიც უშუალოდ ემიჯნება მსხვილ რეკრეაციულ სივრცეებს. ამასთანავე, დაგეგმილია ტყეებში მცირე ზომის ორგანიზებული რეკრეაციული სივრცეების მოწყობა ბუნებრივ გარემოში მინიმალური ჩარევით.

არსებული მდგომარეობით სურამი არ გამოირჩევა მაცხოვრებლებისთვისა და სტუმრებისთვის მრავალფეროვანი საინტერესო ობიექტების შეთავაზების შესაძლებლობით.

რეალური მდგომარეობით, ტერიტორიები ატარებს სხვადასხვა, გამორჩეულ ფუნქციებს თუმცა რეალობაში ამ ფუნქციებით მათი განვითარება მინიმალურად ხდება. ასე მაგალითად სურამის ციხე, რომელიც ნომინალურადაა ტურისტული მიზიდვის ცენტრი, ან სურამის ტყე, რომელიც მხოლოდ სონტანურად და ქაოტურად ასრულებს მიზიდვის ცენტრის ფუნქციას. გარდა ტურისტული ობიექტებისა, ასევე მინიმალურად ხდება სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების გამოყენება, არადა მათ გააჩნიათ როგორც სამეურნეო, ისე ტურისტული განვითარების შესაძლებლობები. ანალოგიურად, სურამი ვერ იყენებს ისეთ რესურსებს როგორცაა: სამონასტრო კომპლექსები, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები, მუზეუმები, სამკურნალო ობიექტები (სანატორიუმები), თერმული წყლები, სურამის ტბა და მიმდებარე ტერიტორიები, მდ. სურამულა და ა.შ. წინამდებარე რუკაზე წარმოდგენილია ასეთი საინტერესო ობიექტები (არსებული) და ის ფუნქციები რომლებიც შესაძლოა განვითარებულ იქნას გენგეგმის შესაბამის

**კონკრეტული საპროექტო გადაწყვეტები**

- 1 ცენტრალური პარკი ფსიქიატრიული საავადმყოფოს ადგილას.
- ალტერნატივა 1. ფსიქიატრიული საავადმყოფოს შენარჩუნება ალტერნატივა 2. ცენტრალური პარკის შექმნა ფსიქიატრიული საავადმყოფოს ადგილას ალტერნატივა 3 (გარდამავალი ვარიანტი). ფსიქიატრიული საავადმყოფოს ნაწილობრივად შენარჩუნება და მისთვის არააუცილებელ ტერიტორიაზე პარკის მოწყობა საავადმყოფოს ფართობი - 35 997 კვ.მ. სკოლის ფართობი - 7620 კვ.მ.

**6. ცენტრალური პარკის ანალოგი**

მიუხედავად იმისა, რომ სურამი გამოირჩევა უხვი გამწვანებითა და მსხვილი ტყის მასივებით, ფაქტიური მდგომარეობით როგორც ადგილობრივები, ისე სურამის სტუმრები მკვეთრად განიცდიან რეკრეაციული სივრცეების დეფიციტს. რეალურად ორგანიზებული რეკრეაციული სივრცე მხოლოდ ერთია, პარკი სურამის ცენტრში და მისი ფართობი აშკარად შეუსაბამოა ტურისტული, საკურორტო ტერიტორიისთვის.

ასეთი დეფიციტის აღმოსაფხვრელად გენგეგმის ფარგლებში რამოდენიმე ტერიტორია შეირჩა და ყველა შემთხვევაში გამოყენებულ იქნა ისეთი არეალი რომელიც არაა რეგისტრირებული კერძო საკუთრებად.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია სურამის ცენტრში არსებული მსხვილი რესურსი, რომელიც დღეს ფსიქიატრიული საავადმყოფოს ეზოს წარმოადგენს.

სურამის ცენტრალურ ზონაში ფაქტობრივად ეს ერთადერთი ადგილია, სადაც შესაძლებელია პარკის მოწყობა და მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ ტერიტორიაზე ფსიქიატრიული საავადმყოფო ფუნქციონირებს (ახლახანს განხორციელდა მისი ძირითადი ბლოკის სარემონტო სამუშაოები), პრიორიტეტულად მიგვაჩნია მოცემულ მიწის ნაკვეთზე პარკის მოწყობა, რაც შემდეგი არგუმენტაციითაა გამყარებული:

1. ფსიქიატრიული საავადმყოფო უშუალოდ ემიჯნება პირველ საშუალო სკოლას. ეს ორი ფუნქცია ფაქტობრივად ერთ ეზოშია განთავსებული და მხოლოდ სიმბოლურადაა გამოყოფილი ერთმანეთისგან. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლის მოსწავლეები დაწყებით კლასებში საკუთარი ემოციური და მენტალური ჩამოყალიბების მყიფე გზას გადიან, სრულიად მიუღებლად მიგვაჩნია ფაქტობრივად საერთო სივრცის გაზიარება ფსიქიატრიულ საავადმყოფოსთან.
2. ფსიქიატრიული საავადმყოფო მოქცეულია განაშენიანებული საცხოვრებელი გარემოს ცენტრში და სამი მხრიდან გარშემორტყმულია საცხოვრებელი სახლებით, რომლებთანაც საზიარო ღობეები აქვს. ასეთი მდებარეობა არც ერთი მხარისთვის არ უნდა იყოს მისაღები.
3. რეალურად, ფსიქიატრიული საავადმყოფო არ იყენებს იმ ფართობის ტერიტორიას რომელიც მასზეა მიკუთვნებული (36 000 კვ.მ.) და დაბის ცენტრში სრულიად მოუვლელი და ქაოტური სივრცე რჩება აუთვისებელი იმის ფონზე, რომ დასახლებას არ აქვს პარკი.
4. ფსიქიატრიული საავადმყოფოსა და სკოლის შენობები ერთი კომპლექსის ნაწილს წარმოადგენს, რომელიც საუკუნეზე მეტი ხანია სურამს ამშვენებს, დღეს კი მისი უმეტესი ნაწილი დაზურულია საზოგადოებრივი სარგებლობისთვის.

აქვე აღსანიშნავია, რომ პირველ საჯარო სკოლას არ გააჩნია სპორტული მოედანი, რისთვისაც მოცემული ტერიტორიის ნაწილის გამოყენება გამოსავალი იქნებოდა, ხოლო იგივე მოედანი დღის მეორე ნაწილში შესაძლოა საზოგადოებრივი სივრცის ნაწილად იქცეს.



(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2019 წ. #41,42,44,45,46,47. 2020 წ. #2,3,4,5,6,7,8,9,11,12,13,14)

ძამის ხეობისკენ, როგორც ჩანს, წომიდანაც მიემართებოდა გზა, გაივლიდა ყელეთს და გადადიოდა მძოვრეთში. ამ ამბის გაგების შემდეგ, გიორგი მეფემ მის წინააღმდეგ წარავლინა ფარსადან ციციშვილი და ზურაბ ერისთავის შვილი, მაგრამ მათ ქაიხოსროს „ვერად ანეს“ და მან საციციანო დაიპყრო.

გზაზე, სოფელ ყელეთთან ახლოს, ყელეთის სერზე, იდგა კოშკი, რომლის ფუნქციაც ამ გზის კონტროლი უნდა ყოფილიყო.

ყელეთის კოშკი მდებარეობს სოფლის სამხრეთ-დასავლეთით 400-500 მეტრში, ლალიჯვრის ეკლესიასთან ახლოს, მის დასავლეთით. სტილისტური ნიშნებით თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანი (XVII ს.). კოშკი ნაგებია ქვიშაყვით.

კოშკი სწორკუთხაა. დაზიანებულია. შემორჩენილია სამხრეთის კედელი, სამხრეთ-დასავლეთის კუთხე დაახლოებით 3 მეტრის სიმაღლეზე. აღმოსავლეთის კედლის ნაწილი და ჩრდილოეთის კედლის 1,3 მეტრი სიმაღლის დასავლეთი მონაკვეთი.

მიწით ამოვსებული პირველი სართულის სამხრეთის კედელში ერთი სწორკუთხა ნიში ყოფილა, დასავლეთის კედელში ორი. მეორე სართულის შემორჩენილ დასავლეთ ნაწილში ორი თაღოვანი სარკმლის ნაშთია. სამხრეთის კედელში შემორჩენილია სარკმლის წირთხლის აგურით ნაწყობი ნაწილები.

მდინარე ძამის სათავეში, ნასოფლარ ძამასთან ახლოს, ნასოფლარ სათერძის მოპირდაპირე მხარეს, შემადგენელ ფერდობზე აღმართულია ძამის ციხე.

სპეციალურ ლიტერატურაში იგი სხლების ციხე-დარბაზად იხსენიება. ციხე-იგვერდის ციხესაც უწოდებენ. პროფ. ს. მაკალათია მას ძამის ციხედ მოიხსენიებს. იგი წერს: „სათიბის ხევის გაღმა არის ციხე-იგვერდა. ეს უნდა იყოს, ვახუშტის აღწერის მიხედვით, ციხია. სოფელი მდებარეობს ძამის ციხის მახლობლად და ამის გამო დარქმევია ამ სოფელსაც ციხისგვერდა... ციხისგვერდიდან ძამის გაღმა ჩრდილო-აღმოსავლეთით მალაღმთაზე დიდი ციხეა. ეს ციხე, როგორც ავღნიშნეთ, ვახუშტის არ აქვს მოხსენიებული და აღწერილი. ციხის მდებარეობა ძამის სათავეში მოწმობს, რომ ეს უნდა იყოს ძამის ციხე, რომლის მახლობლადაც პატარა სოფელი ძამაა. ეს ციხე საზღვარზე იყო და იცავდა, როგორც ძამის ხეობას, ისე ბორჯომ-სურამის მხარეს (ძველი თორი)“.

ციხე კარგადაა მორეგული რელიეფს, ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით ციკაბო კლდეს გადაყურებს და სათვალთვალოდ მოხერხებული მდებარეობა აქვს, ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. ჩანს, აქ ფეოდალის ციხე-დარბაზი იყო. ციხე ამჟამად ძლიერ დაზიანებულია, ნაგებობის უდიდესი ნაწილი ფრაგმენტების სახითაა მოღწეული.

ციხე-დარბაზში შესასვლელი მის აღმოსავლეთ ნაწილში იყო - საბრძოლო კოშკსა და გალავანს შორის.

ციხის წინა ეზოს (ფართობი 500 კვ.მ.) სამი მხრიდან გარს არტყია გეგმით უსწორო გალავანი, რომელიც რელიეფს მიჰყვება. წინა ეზოს ჩრდილოეთით ესაზღვრება შუა ციხის (პართობი 250 კვ.მ.) კედელი, რომელიც შემორჩენილია დაახლოებით 5 მეტრის სიმაღლეზე. კედლის აღმოსავლეთ ნაწილში კარია გაჭრილი, ხოლო შუა ნაწილში გეგმით ნახევარწრიული შვერილია. ეს ნაგებობა (სასახლე?) ორსართულიანი უნდა ყოფილიყო. მის შუა ნაწილში კოშკი იყო ჩართული. სართულშუა გადახურვა ხის კოჭებზე იყო გამართული. მეორე სართულზე ციხის ეზოსკენ მიმართული ორი სათოფურია. ასეთივე სათოფურია შვერილის აღმოსავლეთის სწორ კედელში. შვერილის დასავლეთ მხარეს, საკმაოდ მაღალი კარის ღიობის კვალი ჩანს. ამ ნაგებობის პირველი სართულის ქვევით მიწაში წყლის რეზერვუარია, რომელშიც წყალი კერამიკური მილებით ჩადიოდა. შუა ციხის დასავლეთის კედლის ნაწილიდაა შემორჩენილი, ხოლო აღმოსავლეთის კედლის მხოლოდ კვალი შეიმჩნევა.

შუა ციხეს ჩრდილოეთიდან მესამე ზღუდე, კედლის პირზე ამოყვანილი, გეგმით სწორკუთხედს მიახლოებული კოშკი იცავდა. კოშკში შესასვლელი სამხრეთის კედლის აღმოსავლეთ ნაწილშია. ჩანს კოშკი სათავდაცვო და საცხოვრებელი, მრავალსართულიანი ნაგებობა იყო. შედარებით კარგადაა შემორჩენილი კონტრფორსით გამაგრებული სამხრეთის კედელი. კონტრფორსის დასავლეთით სწორკუთხა ნიში და შუა ციხისკენ მიმართული სათოფურია. კოშკის ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხე მორეგული უნდა ყოფილიყო.

ძამის ციხეზე საუბარია „მატიანე ქართლისა“-ში XI საუკუნის 60-იან წლებში გაერთიანებულ მოვლენებთან დაკავშირებით. ეს ის პერიოდია, როცა განსაკუთრებულ აქტიულობას იძენს ცალკეული სამეფო სამთავროების (ქართული ქვეყნების) გაერთიანების გზით ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნა. ქართულ ქვეყნებს შორის ბრძოლა ჰეგემონიისთვის ორი საუკუნე გრძელდებოდა. ამ ბრძოლის მთავარი ობიექტი შიდა ქართლი იყო, რადგან ვინც ფლობდა ამ რეგიონს, მას გაბატონებულ პოზიციები ეჭირა სხვა ქართულ ქვეყნებშიც. ამიტომ, საქართველოს გაერთიანებისთვის ბრძოლა ქართული წყაროების მიხედვით იყო „ბრძოლას ქართლისაზედა“.

საქართველოს გაერთიანებისთვის ბრძოლაში ყველა სამეფო-სამთავრო იღებდა მონაწილეობას, ხან ერთი ქვეყანა ფლობდა ჰეგემონობას, ხან მეორე. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ვერის-აფხაზეთის, ტაო-კლარჯეთის სამეფოები.

967 წელს ვერის-აფხაზეთის სამეფოს ტახტზე გარდაცვლილ ლეონ III-ის ძმა დემეტრე III ავიდა. ის ვერის-აფხაზეთთან ერთად შიდა ქართლსაც დაეუფლა. დემეტრე „ეუფლა ქართლსა“ და „მოიწყო სამეფოი თვისი“. რამდენიმე ხნის შემდეგ, როგორც ჩანს, მისი პოლიტიკით უკმაყოფილო ფეოდალთა ერთი ჯგუფი მას დაუპირისპირდა. „უხმეს კაცთა ვიეთმე ამა ქუეყანისათა“ ბიზანტიაში მყოფ მის ძმას თეოდოსს „რაითა გამოვიდეს ძმასა თვისსა ზედა“. თეოდოსი და მისი ძმა ბაგრატ, მათ მამას, გიორგი აფხაზეთა მეფეს, თავისივე სიცოცხლეში გაგზავნილი ყავდა ბიზანტიაში და იქ იზრდებოდნენ „რაითა შემდგომად სიკუდილისა მისისა არ იყოს მათ (ძმებს - თ.ლ.) შორის ბრძოლაი და ხდომა“ სამეფო ტახტისთვის.

თეოდოსი ბიზანტიიდან მოვიდა და სამცხეს დადგა. იგი „უხმობდა მესხთა აზნაურთა, იკრებდა ლაშქართა და ლამოდა კლავითა თვისთა ადგებასა მამულისა თვისისასა. დემეტრემ „წარავლინა ლაშქარი თავისი, დაასხნეს უგრძნეულად და გააქციეს თეოდოსი“.

დამარცხებული თეოდოსი ქართლში გადმოვიდა და „მიმართა ადარნასეს, ძამელსა მთავარსა, შეიყვანეს იგი ძამის ციხესა და მუნით გამოღმართ ეძიებდა საქმესა თვისსა“.

ძამის ციხეს სამი თვის განმავლობაში ებრძოდა დემეტრე მაგრამ ვერ აიღო.

„მაშინ დემეტრე მეფემან მიგზავნა ლაშქარი თვისი, მოადგეს ციხესა ძამისასა და პბრძოდეს სამ თუე ოდენ. და ციხით გამოღმართ ევლებოდეს ფრიად. და ვითარცა მისჭირდა ციხოვანთა, ითხოვის ფიცი და სიმტკიცე, რაითა განუტეონ თეოდოსი და წარვიდეს მშვიდობით. და მათ მიინდგეს იგი და გაგზავნეს მშვიდობით, წარვიდა წინაშე დავით კურაპალატისა და მუნ დაყო წელიწადი ერთი“.

შემდეგ თეოდოსი კახეთში გადავიდა. დემეტრემ უნებლობის პირობით შეძლო მისი შემორიგება - „ვიყვენთ ორნივე, სწორად უფალ მამულისა ჩუენისა“, მაგრამ შემდეგ მან გატეხა ფიცი და თეოდოსს „დასწუნა თუალნი“. 975 წელს გარდაიცვალა დემეტრე. ტახტზე ავიდა უსინათლო თეოდოსი.

ეს ეპიზოდი კარგად მიგვანიშნებს ძამის ციხის როლის მნიშვნელობას, არა მარტო, ქვეყნის ცხოვრებაში, არამედ მეტყველებს მის სიძლიერეზეც.

ძამის ციხე გვხვდება უამთააღმწერელთან XIII საუკუნის ბოლოს ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობით ისარგებლეს ოსებმა და ქართლის რბევასა და აოხრებას მიჰყვეს ხელი. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ოსთა მთავარი ბაყათარი, რომელიც „აოხრებდა ქუეყანათა და ხოცდა კაცთა“. ოსების მოძღვარებას ქართლში განსაკუთრებით ებრძოდნენ სურამელები - ჰამადა და რატი.

ბაყათარმა შეძლო ძამის ციხე წაერთმია თორელებისთვის: „მაშინ ბაყათარ წარუღო გამრეკელსა, კახას ძესა, ციხე ძამისა“.

ამ ამბის გაგებისთანავე ბექა სურამელი „მიუხდა დიდითა ლაშქართა“. ბაყათარი ციხიდან გამოსული წინ დაუხვდა „წინმავალთა ბექასათა“.

„იქმნა ომი ფიცხელი, და პირველსავე შემასა გაიქცა ბაყათარ და შეიდა ციხესა. მივიდა ბექა და მოადგა ძლიერად ციხესა. და ვითარ განძლიერდა, ითხოვეს ოსთა ზენარი და აღუთქვეს არაწყენა და ესრეთ მოვიდა ბექას წინაშე გაუშავლებელი, და უკანას მოკუდა ბაყათარ“.

როგორც საისტორიო საბუთებიდან ჩანს, ძამის ციხე ხშირად შინაფეოდალური აშლილობის ასპარეზადაც ქცეულა. მხედველობაში გვაქვს XVIII ს-ის 40-იან წლების დასაწყისში ციციშვილებს შორის ერთერთი დაპირისპირება, რასაც შედეგად მოჰყვა არამარტო ციხის აკლება, არამედ უამრავი ადამიანის მსხვერპლიც. ამან გამოიწვია მხარეში სამეურნეო ცხოვრების მთლიანად მოშლა. იმდენად მძიმე ყო ამ დაპირისპირებით გამოწვეულ შედეგები, რომ საბუთში ნათქვამია: „საციციანო ასრე გადარბეული იყო, ოთხი წელიწადი არც ხვნა იყო, არც თესვა, არც ცეცხლი ანთებულა, არც კალო გალქვილა და არც მამალს უყვილია“.

ამ მდგომარეობაზე მოგვითხრობს მერალიბეგ ციციშვილის არზა ერეკლე II-ისადმი სამართლის მიცემის შესახებ, რომელიც 1747-49 წლებით თარიღდება.

არზის თანახმად, XVIII ს-ის 40-იანი წლების დასაწყისში, ურთიერთობა მკვეთრად დაიძაბა მერალიბეგ ციციშვილსა და მის სახლიკაცებს (ბიძაშვილებს) - დავით, პაატა და ზაზა ციციშვილებს შორის.

მერალიბეგ ციციშვილი არზაში ვრცლად მოგვითხრობს თავის სახლიკაცებთან გართულებულ ურთიერთობაზე. თითქოს ურთიერთობა ერთმანეთში დროდადრო სწორდებოდა, მაგრამ დაძაბულობა და მტრობა უმალ იჩენდა ხოლმე თავს.

ერთგან მერალიბეგ ციციშვილი აღნიშნავს, რომ მან თავისი წილი ყმა, რაც ყავდა, „ან ქართველი ან სომეხი ან ურია ან აზნაურშვილი და ან იმის გლეხი - სულ ძამის ციხეში მოვაგროვე“. მისმა ძმამ ალექსანდრემ კი „თავის საყმო მძოვრეთის ციხეში მოავროვა“.

რამდენიმე ხნის შემდეგ დაპირისპირებულმა სახლიკაცებმა „მძოვრეთის ციხეს სულ ყათლანი უყუ“.

ამის შემდეგ, მერალიბეგი და დავითი და პაატა თითქოს შერიგდნენ: „ჩვენ რომ მძოვრეთს მოვედით, პაპუნა(ს) შვილი დავით და პაატა იმერეთიდან გადმოვიდნენ, ერთმანეთი ვნახეთ და შევირდით“. პირობაც დადეს, რომ მამულისთვის მოველოთ, მაგრამ სწორედ ამის შემდეგ დატრიალდა უბედურება ძამის ციხის ირგვლივ: „დავითმა გვერდწითელს სახლთუხუცეს(ს) შვილი მოუნათლა, პაატამ ამირან გვერდწითელს მოუნათლა შვილ. ამ ნათლობითა და ამ შერიგებითა მამატყუილეს, სახლთუხუცესი ნიკოლოზ და ხოსია გულბადი-შვილი გაგზავნეს იმერეთს და კიკნაძეები მოიყვანეს, ძამის ციხეს უღალატეს. გვერდწითელი გიორგი სახლთუხუცესი, თავიანთი ნათლიმამა, მოკლეს; თავისი ნათლული ციხიდან გადაადგეს და ნადირ-ფრინველმა შეჭამა.“

იმ ციხეში ახალდაბული სახასო ხუცის შესამოსელი სტეფანაშვილის ებარა. პაატამ სტიხარი ახალუხათ შეაკერვინა და ოლარი სარტყლით შემორტყა. საბუხრის ჯაჭვები ახალუხზე ჯაჭვით დაისხა; თავისი ნათლულის რძალი ხსად დაისვა.

იმითაც არ იქნა: თავისი ნათლიმამა ამირან გვერდწითელი, თავისი ნათლიდგა, თავისი ნათლული, ის ხსა - სულ ყველას მოუსვა ხელი და თათრებს მიჰყიდა. ამირან დღეს აქ გახლავსთ და ცოლი ახლაც თათრებს ჰყავთ. ამითაც კიდევ არ იქნა: წინამძღვრის შვილო მოკლეს შიო, დასახოცი დახოცეს, გასაყიდი გაყიდეს; ნახევარი ოსმალოს მიჰყიდეს და ნახევარი იმერლებსა. რაც ჩვილი ყმაწვილი იყო, რომ არავინ იყიდა, ციხიდან გადაყარეს და ნადიდ-ფრინველმა შეჭამა: რაც მონაზონი და ბებერი იყო, რომ არ გაიყიდებოდა, სულ ერთს სახლში შეყარეს, ბოძები გამოუყარეს, სახლი ზედ დააქციეს და ისე უზიარებელი დახოცეს. ძირს რაც დარჩა, შუა გაყვეს, დავითმა იმერეთს წაასხა და იქ დაყიდა; და პაატამ ოსმალოში წაასხა და იქ დაყიდა.

ქვეყანა ასე გაახარაბეს. იმათს მალეუჯათს და ჩემს წილს მალეუჯათს ხელმწიფე მე მართმევდა. ოთხი წელიწადი ქვეყანა ხარაბი იყო“.

ლოკუმენტს ახლავს დავით და პაატა ციციშვილების მიერ ძამის ციხეში ამოწვეტილი და გაყიდული მერალიბეგ ციციშვილის აზნაურიშვილებისა და გლეხების სია. მასში ვკითხულობთ:

„ამ აზნაურიშვილების თავითი და თავეთის ცოლ-შვილის და ყმის ოქრო, ვერცხლი, თვალი და მარგალიტი რაც ქონდათ - ბევრი თუ ცოტა, თეთრი, სპილენძი, ტანთა, ფეხთა, ქვეშაგები, გუთნეული, ცხვარი, ძროხა, კანბეჩი, ღორი, ამათი სარჩო, პური, ღვინო, ყველი, ერბო, ხმელი თუ ნედლი: ამ აზნაურიშვილებისა და ამათის ყმების თოფი, ხმალი, იარღი, ტყვია და წამალი კიკნაძეებითა და ორჯონიკიძეებითა აიკლო და ყათლანი უყო“.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)



### - ჩვენი ქალაქის თავისებური კოლორიტი - ნიქრო

ამ რამდენიმე ხნის წინ, ისე მოხდა, რომ თბილისიდან საშურამდე ბათუმის მიკროავტობუსით მომიწია მგზავრობამ. ჩასვლის წინ, მძღოლმა მკითხა, აქაური ხარო?... დასტურის შემდეგ, კიდევ მკითხა, წიქრო არ დამინახავს რამდენი ხანია და ხომ არ იცი, სად არის, როგორაა... წიქრო აღარ არის-მეთქი, რომ ვუთხარი, გულწრფელად ინანა, ცრემლიც მოადგა და ავტოსადგურის მიმდებარე გაბმული სიგნალით მანქანაც "ატირა". სიმართლე გითხრათ, ჯერ გამიკვირდა "უცხო კაცისგან" ეს მოქმედება, მერე კი, როდესაც ფიქრი და განსჯა ერთად აირია გონებაში, ერთგვარი სიხარულიც ვიგრძენი, სიხარული, რომ ჩვენი წიქროს ცხოვრების გზა უკვალოდ არ გამქრალა, არც ნარსა და ეკალს დაუფარავს ეს გზა და აგერ "შორეულ" ბათუმშიც კი ახსოვდათ ეს კეთილი კაცი.

წიქროს სახელით იცნობდა ყველა (ლიტერატურის მართლწერის ელემენტარული ნორმა მოითხოვს, რომ ზედმეტსახელი-თიკუნი ბრჭყალებში ჩავსვა, მაგრამ ასე მგონია, რაღაცნაირად, მის ხსოვნას ვაკნინებ ამ ბრჭყალებით და ჯანდაბას ლიტერატურული ნორმები) ნამდვილი სახელი უცნობი კი არა, ნახევარმა საშურამ არ იცოდა, წიქრო იყო, მორჩა და გათავდა. არადა, პაატა წიქარიშვილი გახლდათ. სკოლაშიც წარჩინებული იყო და უმაღლეს სასწავლებელშიც. სხვათა შორის, ყოფილი პრემიერ მინისტრი, გიორგი კვიციანიშვილი, მისი ჯგუფელი იყო და ბოლომდე მეგობრობდა მასთან. ინსპექტორობა მისი ბავშვობის ოცნება არ ყოფილა, მაგრამ სამშობლოს სამსახურის სურვილმა მიიყვანა ამ გზამდე და ისიც უანგაროდ ემსახურა იდეას. წლების მანძილზე ერთი უცვლელი მარშრუტი ჰქონდა, სახლი-ავტოსადგურის მიმდებარე "პოსტი" და პირიქით. საღდაც 3-4 საათზე მორჩებოდა ქვეყნის სამსახურს, ასეულობით ავტომობილს სწორ გზას უჩვენებდა, მიმართულებას მისცემდა და მერე დამსახურებულად მიდიოდა დასასვენებლად სახლში, რომ მეორე დღეს ისევ დახმარებოდა ნაცნობს თუ უცნობს, ძველი, ღიპიანი რეკეტიორი ინსპექტორები რა მოსატანია მასთან, წიქრო იმას როგორ იკადრებდა, რომ მავანი მძღოლისათვის ფული მოეთხოვა-ამის გაფქრებაც კი მკრეხელობაა. არ იდგა წიქრო დილიდან საღამომდე "პოსტზე" ამისთვის. სამშობლოს სამსახური იყო მისთვის უპირველესი და იცოდა, რომ ეს მოვალეობა უზენაესისგან ჰქონდა დავალებული. აი, მიკროავტობუსის მძღოლები ჩაუყრიდნენ ხოლმე ზოგჯერ ხურდა ფულს და ამასაც თავის დანიშნულება ჰქონდა: საღამოს,

დაღლილი, სახლში დაბრუნებული, შეკრებდა უბნის პატარებს და სათითაოდ ნაყინს ჩამოურიგებდა ყველას. აი, მაშინ უნდა გენახათ, როგორი იყო ნამდვილი წიქრო, ისეთი სიხარული და სიყვარული იდგა მის თავლებში, რომ ამ თავლების დანახვისას, თითქოს შენც კეთილშობილება გემატებოდა, ამაღლებული განწყობა მიგყვებოდა ყველგან. კიდევ ერთხელ რწმუნდებით მარადიულ ჭეშმარიტებაში, სიკეთე იმსახურებს იმას, რომ რეალობა თუნდაც გამრუდებული იყოს. საინტერესო პასუხი ჰქონდა, თუ "პოსტზე" მდგომს ჰკითხავდი, წიქრო, როგორ ხარო... ეკ, მარტო ველარ ავუდივარ ამხელა საქმეს, არც მახმარენ არავის და არ ვიცი, როდემდე გაუძლებო-გეტყობა. იმდენი გულწრფელობა იყო მის სიტყვებში, ეჭვი იოტისოდენადაც არ გაგიჩნდებოდა კაცს.

მცირე შესვენებაც ჰქონდა სამსახურის დროს. სადმე, იქვე "პოსტის" მახლობლად ჩამოჯდებოდა და ჩუმად, დინჯად ესაუბრებოდა ანგელოზებს. ამ დროს ყველამ იცოდა, რომ წიქრო სხვა სამყაროში იყო და მისი შეწუხება არ შეიძლებოდა. არ აწუხებდნენ. თუმცა, ერთხელ მაინც შეუწუხებია ვიღაც უცხო მძღოლს. შეუწუხებია კი არა, შეურაცხყოფაც მიუყენებია და უკადრებელი უკადრებია. რაიო, გაგიჟებულან ახლო მახლო მყოფი "მარშუტკის" თუ ტაქსის მძღოლები, ჩვენ წიქროს ერჩიანო და ისე გაუძუენიათ, ის თავხედი, ძლივს გამოწიწივს ხელიდან გამშველებლებმა. თან წასულისათვის მიუძახიათ, ჯერ შენთვის ილოცე რომ გადარჩი და მერე ერთი კელაპტარი წიქროსთვისაც დაანთე, იქნებ შეგინდოს უფალმაო...

ასე იყო, ყველას უყვარდა ანგელოზებთან მოსაუბრე კაცი. წელიწადი გავიდა, არც წიქრო აღარ არის, არავინ იცის, რა მოხდა, მტკვრის მიმდებარე უნახავთ გარდაცვლილი. სამართალდამცავებმა და ექსპერტიზამ თვითმკვლელობის დასკვნა დადეს. აქ კი, ქალაქი, ჩვენი ქალაქი ჩაერია "საქმეში" და მცირე ლეგენდაც კი შეიქმნა, რომ წიქროსთვის ღირსება შეენერჩუნებინათ: ფეხი ჰქონდა დაავადებული, ექიმები სხვა გამოსავალს ვერ ხედავდნენ და მარჯვენა ფეხი უნდა მოეჭრათ, ეს კი ვერ გადაიტანა წიქრომ და თავი მოიკლაო. შეიძლება ეს რეალობაშიც ასე იყო, მაგრამ რომც არ იყოს, მეც მინდა, ამის მჯეროდეს, რომ მის ღირსებას თვითმკვლელობით ნაკლი არ დაედოს.

თითქმის თვე გავიდა, წერილის თავში მოთხრობილი ამბიდან, მაგრამ ახლაც, როდესაც წიქროს "პოსტს" გავუვლი, მუდამ იმ ბათუმელი მძღოლის მიკროავტობუსის გაბმული სირენის ხმა მესმის, რომელიც თითქოს ადამიანური ხმით ხმამაღლა ყვიროდა: მშვიდობით, წიქრო, კარგი კაცი იყავი შენ და უფალს ებარებოდე! გოგი გოგოლაძე

### სანელებლის პრინციპები

გუშინ, პურ-პროდუქტების საყიდლად ქალაქში გასული, ამოდ დავეძებდი ხარისხიან სუნელებს, შემომაკლდა და ვიფიქრე, მივუმატებ მარაგს მეთქი. ეს ძალიან შინაურული, მაგრამ მაინც მუხეუმური ამბავიც აქედან წამოვიდა:

ყველაზე მეტად ჩვენს ცხოვრებაში ანაზღად შემოჭრილი ადამიანები მაინტერესებს, თუმცა, ზეციურის განზრახვის გარეშე არაფერი ხდება და ჩვენი უნებლიე მეგობრობა ამ ადამიანებთან ბედისწერამ, თუ დროის უკუღმართობამ განაპირობა.

როგორც კი მუხეუმის პირველი სართულის დერეფანში შემოაბიჯებენ, ჯერ საოცარი სურნელება დატრიალდება, ცხვირში შეგვიღიბინებს და მერე კარი ძალიან ნელა, მოკრძალებულად იღება შეკითხვით, შეიძლებაო შემოსვლა. ხან ერთი გეწყალობს, ხან მეორე, ბიძაშვილები არიან და თითქმის ყოველთვის ერთად ჩამოდიან ოზურგეთიდან ღამის მატარებლით, მოდიან და მოიყოლებენ გურიის მთებისა და ველ-მინდვრების სურნელებას.

შემოქმედი გურიის უღამაზესი სოფელია, იქ სახლობენ და საკუთარი საოჯახო მეურნეობაც იქვე აქვთ. თუმცა, ზაფხულობით, ბახმაროზე ასულები, მთის ველური ბეჭქონდარასა და მოცვის ჩაის მადლსაც გამოიყოლებენ და მერე ჩვენ გვიყოფენ...

პირველად თინა გვესტუმრა, შემოგვანათა თავისი გურული ბუხრის მუგუზაღივით შავი თვალები და რიხიანად შემოგვთავაზა უცხო სუნელი და ხარჩოს სუნელი, ზაფრანა და ძირა, ქინძი და კამა, კოწახური და დარიჩინი. თუ ვინმეს მისი გურული სიმინდის ფქვილისგან გამომცხვარი მჭადი და სიმინდისავე დერდლის ღომი გაუსინჯავს, სხვას როგორღა დააგემოვნებს, პირდაპირ ბუჟუხე გადადგმულ წისქვილშია ჩამოფქვული. შემოვა თუ არა, დაიწყება გამორკვევა-განაწილება, ვის რა და რამდენი გვინდა (ამასობაში, მუხეუმის მეორე სართულის ბინადართაც ვატყობინებთ მისი მოსვლის ამბავს), მერე დაგვინაწილებს, ჩაგვიპიწკინებს პაწაწინა ტოპრაკებსა და ქაღალდის სამკუთხაბლოიან პაკეტებში და ახლა უკვე ჩვენთვის ძალიან უხერხული მომენტი დგება, უნდა ვთხოვოთ, საფასურის გადახდა მეორე ხელფასამდე, ან უფრო მეტხანსაც დაგვაცადოს. მაგრამ თინა რის თინაა, თუ მის ჭინკებიან თვალებში სითბო არ ჩადგა და თავად არ შემოგვთავაზა, გოგოებო, მე იმ თვის ბოლოს ჩამოვალ და მერე გადამიხადეთ, ახლა ჩემი მოსვლა ხომ არ იცოდით და ფულს როგორ დამახვედრებდითო. შევბით ამოვისუნთქავთ და რიგრიგობით, გვარსახელებით ვწვევებით „სპისოკში“ ჩვენი ვალებიანად. მეორე ჯერზე რომ მოვა, ჯერ ვალს ვისტუმრებთ და სიაში წავაშლევინებთ თავს და მერე კვლავ გავმართავთ ადებ-მიცემობას და გურული ნელსურნელებით ტკბობას. ამდენი ხანია ეს ურთიერთობა გვატობს და ჯერ იადლიში არ მოგვსვლია, რომც მოგვივიდეს, დარწმუნებული ვარ, ჩვენი „სანელებლების პრინციპები“ ისე ღირსეულად მოაგვარებენ, ვერც ვიგრძნობთ.

ზოგჯერ თინა გულიანად დაგემოდერავს და სუნელების სწორად გამოყენების წესებს უშურველად გვასწავლის, რომელი სანელებელი ნივთიანებს უხდება, რომელი ხარჩოს და რომელი წვნიანს, რა როგორ

და რა რაოდენობით უნდა შევაკმაზოთ, რომ კერძი უგემრიელესი და თითებნასაკნეტი გამოგვივიდეს და ა. შ.

მერი თინამ აიყოლია და დაიმოწაფა, თან შვილიშვილი ყავს ავად და სურამ-საშურის ჰაერი მისწრებაა მისთვის. საოცრად მოკრძალებული და ტკბილი, ჩამოსახლდება რძალთან და შვილიშვილთან ერთად და წელიწადში ორჯერ მაინც ბინას ქირაობს, რომ ბავშვს სუფთა ჰაერი ასუნთქოს, თან თავისი „ბიზნესიც“ წინ წაწიოს. ჩვენ კი რა გვიშავს, ნეტარებაში ვართ, მისი სანელებლებით შეკმაზული კერძებით ვიწონებთ თავს შინ და გარეთ...

ორივე სულ ჩქარობს, ჯერ ერთი, „უფროსობის“ რცხვენიათ, არ შემოგვისწრონო, მეორეც, უამრავი ხალხი უნდა გაახარონ ჩვენსავით. ზუსტად ვიცი ჩვენთან საიდან მოვიდნენ და საით მიიქარიან, წამოცდებით ხოლმე, ასე რომ, ტყუილად არ თქვათ, ჩვენთან არ დადიანო

გული მწყდება, რომ მათთვის არასოდეს შემითავაზებია მუხეუმის დათვალიერება, არადა, როგორ გაეხარდებოდათ... გაბრდებით, რომ დაგბრუნდებით და ისინიც გამოჩნდებიან, ამას უსათუოდ გავაკეთებ. მახსოვს, ერთხელ, თინამ მორიდებით შეათვალიერა რადიშო თორღიას მშვენიერი ფერწერული ტილო: „ქალი ყურძნით“, რომელიც ჩვენს სამუშაო ოთახში თვალსაჩინოდ კიდია და თქვა, რა ლამაზიაო. მის მზერას თვალი კი ვტაცე, მაგრამ რაღაც ძალიან სასწრაფო საქმით ვიყავი დაკავებული და გილობა ვერ გავუწიე... ახლა ძალიან ვნანობ ამას...

ესეც ერთი მუხეუმური საჩუმათო ამბავი, ჩვენი ყოფის რეალური დასტური.

გვრძნობ, როგორ მაკლია ეს ყველაფერი...







**ხაშური, შადრევანი ცენტრალურ მოედანზე.**

გოგა სადუნიშვილის ფოტო

- ფეხბურთი -

**„ივერიის“ ქალთა გუნდი იმედით იწყებს**

9 აგვისტოს, ფეხბურთში, საქართველოს პირველობაზე ქალთა ჩემპიონატი იღებს სტარტს. ჩემპიონატში 15 გუნდი ერთვება და ერთ წრედ გაიმართება, ანუ გუნდები თითოჯერ შეხვებიან ერთმანეთს. პირველობა 14 დეკემბერს დასრულდება და გაირკვევა ის რვა გუნდი, რომლებიც მომავალ წელს უმაღლეს ლიგას შექმნიან, დანარჩენები კი, პირველ ლიგაში გადაინაწილებიან.

ქალთა ფეხბურთში რომ ხაშური ერთ-ერთ მოწინავე პოზიციაზეა, ჩვენი მკითხველისათვის არახალია. ის კი არა, ხაშური, ამ მხრივ, საქართველოში, პიონერადაც კი ითვლება და მისი აღორძინება მთლიანად ერთ პიროვნებას-თემურ კობერიძეს უკავშირდება-ყოფილ ფეხბურთელს, „ივერიელს“ და შესანიშნავ მწვრთნელს. ბუნებრივია, წლებიდან წელსაც გუნდსაც ბატონი თემური მოძღვრავს და ჩემპიონატსაც იმედებით იწყებს.

-ჩვენი ძირითადი მიზანი რვა გუნდში მოხვედრაა,-აღნიშნა ბატონმა თემურმა ჩვენთან საუბარში, რომ „ივერია“ მომავალ წელს უმაღლეს ლიგაში იყოს. ჩემპიონატის მთავარი ფაქტორები ლანჩხუთის, ხობის, ქუთაისის „გუნდები“, თბილისის „ნიკე“ და სოხუმის „დინამო“ ითვლებიან, თუმცა არც ჩვენ ვართ ხელწამოსაკრავები და ყველა მატჩში თითოეული ქულისთვის ვიბრძობებით.

სამწუხაროდ, ქალთა ფეხბურთში სპორტსმენთა გადინება ხშირი მოვლენაა და არც ჩვენ ვართ გამონაკლისი. სხვადასხვა მიზეზებით „ივერია“ ბევრმა ძლიერმა სპორტსმენმა დატოვა. თუმცა, ახალი ნაკადიც ძალიან პერსპექტიული ფეხბურთელები არიან და მათი იმედი გვაქვს. გამოცდილ სპორტსმენებს ირმა ლომიძეს (მოთამაშე მწვრთნელი), ლალი გიორგაძეს, ნატო მაზიაშვილს, ნინო გელაშვილს, თინკო ელისაშვილს ახალგაზრდები – მანანა ლომსაძე, მედეა ძამანაშვილი, ნინო ავეტისოვი, სალომე გამრეკელი, ლიზი ნიშნიანიძე, მარიამ გელაშვილი შეუერთდნენ და საკმაოდ სოლიდური გუნდი მივიღეთ. ცალკე აღსანიშნავია ელენე ენჯიბაძე და ნინო ბუხრიკიძე, რომლებიც 15 წლამ-

დე ნაკრების წევრები არიან. მოკლედ, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ „ივერია“ ღირსეულად წარმოაჩინდეს და უმაღლეს ლიგაში დაიდოს ბინა...

მაშ ასე, „ივერიის“ ქალთა გუნდი პირველობისათვის ბრძოლას იწყებს. გუნდს მთლიანად ადგილობრივი ხელისუფლება აფინანსებს, თუმცა, იმედია, მათ ბიზნესიც დაუდგება გვერდით და ადგილობრივი ბიზნესმენების დახმარებით მეტი პერსპექტივა გამოჩნდება.

სასტარტო შეხვედრაში, „ივერია“ მცხეთის გუნდს მასპინძლობს და მატჩი ცხრაშუხის სტადიონზე გაიმართება.

იმედია, „ივერია“ ბევრ სასიხარულო წუთს აჩუქებს გულშემატკივრებს.



ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,

მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.

E-mail [Khashurismoambe2015@gmail.com](mailto:Khashurismoambe2015@gmail.com) მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.

♣-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.